დანართი 1

დამტკიცებულია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი
საბჭოს დადგენილება #21, 22/04/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია

თბილისი

2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დოკუმეტის მიზანია, დაეხმაროს უნივერსიტეტს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის სწორად განსაზღვრაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტთათვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობა და მათი ეფექტიანი განხორციელება.

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები

2.1 საგანმანთლებლო პროგრამებთან მიმართებით სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმებია:

2.1.1 მატერიალური რესურსი;

2.1.2 ადამიანური რესურსი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალი);

2.1.3 შრომის ბაზრის მოთხოვნები;

2.1.4 სტუდენტთა პროგრამაზე ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა/აღდგენის დინამიკა;

2.1.5 პროგრამის დასრულებისა და დასაქმების (მათ შორის სპეციალობით) მაჩვენებელი.

მუხლი 3. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი მატერიალური და ადამინაური რესურსი

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და სხვა ღონისძიებებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის განსაზღვრის დროს გაითვალისწინება შემდეგი კრიტერიუმები, რომელთა სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია მდგრადობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამიზნე ნიშნულების დოკუმენტით:

3.1.1 აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამის სტუდენტების რაოდენობასთან;

3.1.2 აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამის სტუდენტების რაოდენობასთან;

3.1.3 აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან;

3.1.4 ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან.

3.2 მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დღის განმავლობაში, ცვლების გათვალისწინებით, უნდა იძლეოდეს სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით სტუდენტთა მომსახურების საშუალებას.

3.3 უნდა დასტურდებოდეს სათანადო აღჭურვილობის აუდიტორიების, ლაბორატორიების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცის, სამედიცინო ბაზების, კლინიკების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობა ან/და ავტორიზაციის ვადით სარგებლობა (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, იჯარის ხელშეკრულება, მემორანდუმები, ხელშეკრულებები და სხვა).

3.4 უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილი უნდა იყოს შემდეგი სავალდებულო ფართები: ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, თეორიული სწავლების აუდიტორიები, ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი სივრცეები, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, სპორტული, შემოქმედებითი და სხვა არასაუდიტორიო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეები, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები, არქივი. ამასთან, სათავსოების განლაგება უნდა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას.

მუხლი 4. სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი

4.1 საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა ყოველწლიური რაოდენობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება ზემოთ დადგენილი ზღვრული ნიშნულები.

4.2 სტუდენტთა მობილობით გადმოსვლა/გადასვლის, სტატუსის აღდგენა/შეჩერება/შეწყვეტის მაჩვენებელის გათვალისწინებით შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის რაოდენობის მოდიფიცირება ზემოთ დადგენილი ზღვრული ნიშნულების გათვალისწინებით.

4.3 საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის შემუშავებულია შემდეგი კრიტერიუმები:

4.3.1 ცვლების გათვალისწინებით აუდიტორიების ტევადობის პოტენციალი;

4.3.2 წლების მიხედვით მოსალოდნელ სტუდენტთა რაოდენობის კალკულაცია გასული პერიოდის სტატისტიკაზე და არსებულ/ახალ პროგრამებზე მოთხოვნის გათვალისწინებით;

4.3.3 პროგრამების მიხედვით აკადემიური/მოწვეული პერსონალის სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობის ანალიზი, მდგრადობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია მდგრადობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამიზნე ნიშნულების დოკუმენტით.

მუხლი 5. სტუდენტთა საერთო კონტინგენტი

5.1 წინამდებარე დოკუმენტის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღრული კრიტერიუმების შესაბამისად, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი საუნივერსიტეტო დონეზე ამტკიცებს სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

5.2 წინამდებარე მუხლის 5.1 პუნქტით განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გამოანგარიშებისას მხედველობაში მიიღება თითოელი პროგრამის მიხედვით დადგენილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მის დამტკიცებისთანავე.

6.2 წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით.